

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილან სული თვის დასდვის ცხოვართთვის. იოან. 10—11.
შოვე ცხოვარი ჩემი წაწყვედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცთა შინა, გრთისათვის ცოდვილისა. ლევ. 15—4.
მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განვიგვევით თქვენ. მათ. 11—28.

№ 15

1883—1900


15 აგვისტო



ყოვლად სამღვდელთ ბესაწიონი. ეპისკოპოსო
იმერეთისა

სამს აგვისტოს, დამის 12^{1/2} საათზე, ორი კვირის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი. წელიწად ნახევარი იქნება, რაც ყოვლად სამღვდელთ ბესარიონი დრო-გამოშვებით ავადმყოფობდა. წელს მისის თვეში მათმა მეუღლებამ ექიმების რჩევით გამოითხოვა უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან ორი თვის სამსახურიდამ დასვენება. უწ. სინოდმა შეიწყნარა მათი მეუღლების თხოვნა და პირველ ივლინიდამ მისცა ყოვლად სამღვდელთ ორი თვის სამ-

სახურიდამ მოსვენების ნება, ხოლო იმერეთის ეპარქიის ღრობით მმართველად დანიშნა ალავერდის ეპისკოპოსი კირონი. ივნისის თვეში ყოვლად სამღვდელთ ბესარიონი ჩაბრძანდა ტფილისში და განუცხადა საქართველოს ექსარხოს ფლაბიანეს, რომ იგი იმდენად კარგად გრძნობს თავის თავს, რომ აღარ საჭიროებს ორი თვით სამსახურიდამ დასვენებას და ამიტომ ტელეგრაფმა გაგზავნა სინოდში, რომ აღარ მინდა სამსახურიდამ ორი თვით მოსვენებაო. სინოდმაც აცნობა მის მალალ ყოვლად უსამღვდელთეოსობას საქართველოს ექსარხოს ფლაბიანეს, რომ ყოვლად სამღვდელთ იმერეთის ეპისკოპოსის ორი თვით სამსახურიდამ დასვენების შესახებ უქაზს ნულარ მოიყვანთ სისარულეშიო. ივლისის თვეში მათი მეუღლება გაემგზავრა უწერას, საიდგანაც მალე ავად-მყოფი დაბრუნდა ქუთაისში. აქ მათი მეუღლება ცოტა ხნო-



ბით ისევ კარგად შეიქნა, მაგრამ მალე ჩაწვა ლოგინში. ავადმყოფის მდგომარეობა თან-და-თან საშიში ხდებოდა და ბოლოს ექიმებმაც იმედი გადაწყვიტეს. მათ მეთუფებამ მიიღო წმ. ზიარება და პირველ ავეისტოლამ, თითქმის, უგრძობლად იყო ლოგინში. სამს ავეისტოს, ნაშუალაშვეის 12 $\frac{1}{2}$ საათზე ზარების სამგლოვიარო ხმამ ყველას აუწყა ყოვლად სამღვდელო ბესარიონის გარდაცვალება.

ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, ეპისკოპოსი იმერეთისა ეკუთვნოდა საქართველოს წარჩინებულს გვარს—დადიანს, იყო შვილი-შვილი სამეგრელოს მთავრის მანუჩარისა; ამ მანუჩარის შემდეგ მთავრობა გადავიდა გრიგოლ დადიანზედ, რომლის შთამომავალია აწინდელი ოჯახი სამეგრელოს უკანაუბელუტეის თავადის ნიკოლოზ მინვრელსკის—დადიანისა, მაშასადამე ყოვლად სამღვდელო ბესარიონი ახლო ნათესავია ამ ოჯახისა. ყოვლად სამღვდელო ბესარიონი სიყმიტვე შესდგა ბერად და ღრმა მოხუცებამდე ღვთისმოსავეობაში გაატარა ჟამნი თვისის ხანგლივის ცხოვრებისა. ამ წლის მარტში მას შეუსრულდა ოცდახუთი წელიწადი მას აქეთ, რაც იგი მღვდელთ-მთავრის ხარისხზედ იქმნა აღყვანილი; პირველად იგი დანიშნეს იმერეთის ეპისკოპოსის ვიკარად (თანაშემწედ) ყოვლად-სამღვდელო გაბრიელთან, ჰმართავდა სამეგრელოს და იწოდებოდა სამეგრელოს ეპისკოპოსად, იმერეთის ეპარქიის ვიკარად; შემდეგ დანიშნეს საქსარხოსოს მეორე ვიკარად, ალავერდის ეპისკოპოსის სახელით, ამასთანავე იგი იყო წინამძღვარი შუამთის მონასტრისა და ალავერდის ტაძრისა. შუამთის მონასტერი მისის მეცადინეობით იქმნა გამშვენიერებული: გამართა რიგიანი საცხოვრებელი სახლი და კარგად მოაწყო იგი. 1895 წელს, როდესაც ყოვლად სამღვდელო იმერეთისა, ნეტარ-ხსენებული გაბრიელი ავად გახდა, ეპისკოპოსი ბესარიონი უწმიდესის სინოდის ნება-რთვით დანიშნა იმერეთის ეპარქიის დროებით მმართველად; ეპისკოპოსი

გაბრიელი გარდაიცვალა 25—25 იანვარში 1896 წელს, ამ დროიდან ეპისკოპოსი ბესარიონი კვლად დასტავეს იმერეთის მმართველად; 6 ივნისს 1898 წ. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და დაამტკიცა იგი იმერეთის ეპისკოპოსად.

ყოვლად სამღვდელო ბესარიონის კვამის გასვენება ქველ-მთავრის სასახლიდამ სჯავთედრო ტაძარში.

ოთხი ავეისტოდამ მოკიდებული მიცვალბულის გასვენების დღემდე ყოველ დღე, შუადღისას და საღამოს რვა საათზე მღვდელ-მთავრის სასახლეში იკრიბებოდა ქალაქის სამღვდლოება საკათედრო სობოროს დეკანოზის მ. გაბრიელ ცაგარეშვილის მეთაურობით და იხდიდა პანაშვიდს. პანაშვილზე მრავალი ხალხი ესწრებოდა. ხუთი ავეისტოდამ პანაშვილის გადახდაში მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი სერაფიმი, ამავე სემინარიის ინსპექტორი ნიკანდრი, არქიმანდრიტი ნიკოლოზი და სიმონი. რვა ავეისტოს, დღით სამშაბათს, დილის მატარებლით ტფილისიდან მობრძანდა მისი ყოვლად უსამღვდლოვობა—გორის ეპისკოპოსი ლეონიდი. ამ დღეს მათმა მეთუფებამ შაოსანი და თეთროსანი სამღვდლოვების თანამსახურებით ორ გზის გადახდა პანაშვილი განსვენებულის ყოვლად სამღვდლოს ბესარიონის სულის მოსახსენებლად. 9 ავეისტოს, დღით ოთხშაბათს, ფოთიდან მობრძანდა ყოვლად სამღვდელო გურია სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომელსაც პეტერბურგიდამ საქართველოს ექსარხოსის ფლამბიანესაგან მიწოდებული ჰქონდა განსვენებული ყოვლად სამღვდლო ბესარიონის დასაფლავებაზე დასწრება.



ამ დღეს, დილის 9 საათზე, ყოვლად სამღვდელ-
ლოს სასახლეს მოაწყდა მრავალი ხალხი, ორივე
სტეპისა. შეიქნა ეკლესიებზე ზარების სამღვლოვიარო
რეკა. მთელი ქალაქის და მახლობელი სოფლებიდან
ჩამოსული სამღვდლოება შეიკრიბა ქუთაისის სას.
სასწავლებლის ეკლესიაში. აქ შეიმოსენ და აქედამ
გამეზღვარნენ მღვდელ-მთავრის სასახლეში. როცა
შემოსილი სამღვდლოება შეიკრიბა მღვდელ-მთავ-
რის სასახლეში, მობრძანდნენ ყოვლად სამღვდელ-
ლონი აღექსანდრე და ლეონიდე. ყოვლად სამ-
ღვდლონი შეიმოსენ, შემდეგ გადახდილ იქნა
მკირე პანაშვიდი. შემდეგ მკირე ჩამოლოცვისა
სამღვდლოება გამართა საკათედრო სობოროსკენ.
მათ შემდეგ მიბრძანდებოდნენ ყოვლად სამღვდელ-
ლონი აღექსანდრე და ლეონიდე. კუბოს მისე-
ნებდნენ არქიმანდრიტნი, რექტორი სემინარიისა
ბენიამენი, სერაფიონი, ბესარიონი, სიმონი და ნი-
კიფორე და დეკანოზი გაბრიელ ცაგარციშვილი.
პროცესია არქიერის მთიდან გაბრიელის ქუჩით ვა-
ნებზავრა საკათედრო სობოროში. როგორც კი
კუბო შეასვენეს ტაძარში, დაიწყეს წირვა. მწირ-
ველნი ბრძანდებოდნენ ყოვლად სამღვდლონი
აღექსანდრე და ლეონიდე, არქიმანდრიტნი, სერა-
ფიონი, რექტორი სემინარიისა ბენიამენი, ბესარი-
ონი, სიმონი და ნიკიფორე და დეკანოზები ცაგარ-
ციშვილი და გიგაუროვი. წირვის გათავების შემდეგ
დაიწყო პანაშვიდი. წესის აგებაში ზემოთ აღნიშ-
ნულ პირთა გარდა მონაწილეობა მიიღეს მრავალმა
დეკანოზებმა და მღვდლებმა. ვინაიდან ამ დღეს
ვერ მოასწრეს საფლავის გაჭრა საკრებულო ტაძარ-
ში, მიცვალებულის ყოვლად სამღვდლო ბესარი-
ონის გვამი დაკრძალულ იქნა ტაძარში შესამე დღეს.



ჩემი სასისწრულო და სამწუხარო შთაბეჭდ-
ლებანი აზიასა და ეგროპის სასგლოწიფოებში
მოკზაურობის დროს.



მ ქვეყანაზე ჩემ ერთ უდიდეს ბედნიერე-
ბად იმას ვთვლი, რომ ღმერთს მოუცა
შემღება და მოხერხება ყოველი ჩემი გუ-
ლის წადილის ასრულებისა. სახარების
სიტყვები:—თუ სარწმუნოება გაქვს,
ყოველივე წადილის ასრულება შეგძლიაო, სწო-
რეთ გამოცდილებით ჩემზე სრულდება. მართალია,
ზოგიერთთათვის მაინცა და მაინც დიდი არაფერია
ეგროპის სახელმწიფოების დავლა და მათში შესა-
ნიშნავი აღდილების დათვალიერება, მაგრამ ჩვენ
მიერ ამ ქვეყნების დათვალიერე ას სულ სხვა მნი-
შვნელობა ექნება. ვარწმუნებთ მკითხველს, რომ ჩვენი
შთაბეჭდილების აღწერილობათა წამკითხველი დროს
დაკარგულად არ ჩათვლის, მაშ მივდგებით საქმეს.

4 ივლისს ჩქარი მატარებლით გაუღეჭით კავ-
კასიის რკინის გზას ფოთისაკენ. ფოთში მისვლის-
თანავე გავეშურეთ ნავთსადგურისკენ. დამის 10
საათზე მივედით ნავთსადგურში. შევედით გემზე.
ორი-სამი დღე რომ დაგვიანებოდა, მაინც არ
წავიდოდი, რომ მცოდნებოდა, თუ ასეთი ღარიბი
და ტუდი გემი შეგვხვდებოდა, მაგრამ რას იზამს
კაცი, როცა სხვა უკეთეს ვერ იშოვი. მეორე დღეს,
სამშაბათს, ზღვის გემმა მიგვიყვანა სოხუმში.
სოხუმის არე-მარეების დათვალიერებამ წარმოგვიდგინა
ჩვენ ძველი დრო აქ ქრისტიანეთა ისტორიისა. აქ
არის მღვდელ-მთავარი და სამღვდლოება გვარ-
ტომობით რუსები. წირვა ლოცვა და ღვთის მსახუ-
რება სრულდება რუსულ ენაზე. რუსები კი ჯერ
ჯერობით ბევრი არ არიან, მაგრამ შემდეგში კი
მათი რიცხვი, რასაკვირველია, მოიმატებს იმის მი-
ხედვით, რამდენადაც ადგილობრითი მკვიდრნი მცხოვ-
რენნი იკლებენ. სოხუმში მაინცადამაინც შესა-
ნიშნავი არაფერი არ არის. არის ერთი ეკლესია,
რომელსაც ძლივს შენიშნავთ. არც მონასტრები და
არც არაფერი ქრისტიანული სარწმუნოების



გამაგრელებელი შენობები თქვენ ყურადღებას არ იქცევს.

ეს ადგილი, როგორც ამბობენ, მეტის-მეტად მარგებელია ქლერქიანებისა და სხვა სწულთათვისა, და მართლაც ამ ადგილისაკენ გამოშურებულან ივანეშვილი კაცები და ცდილობენ, როგორიმე გზით, თავის დარღვეული ტანის სამართლუ აღადგინონ და ამ ქვეყნის საბოლოოზე მაგდენს არაფერს დაგიღვენ.

ერთი საათის შემდეგ თქვენ თვალწინ იხლება ახალი ათონი—ძველიდგანვე შესანიშნავი ადგილი ქრისტიანობის ისტორიაში. რომ წარმოიდგენ ქველ დროს, თქვენ გაოცდებით ორ გვარი სურათით: ძველი დროისა და ეხლანდელის. ავიღოთ მე-VI, VII, VIII საუკუნე. ამ დროის სურათი თქვენ წარმოგიდგენსთ ერთი ძველი დროის უბრალოდგემის ეკლესიას პატარა სამწირველოებით მდინარე ფსირცხის ნაპირად, მივარდნილ იდგოლზე, ასე რომ გვიძიან ევლარც კი ხელავ დღეს ამ ეკლესიას. აქეთ-იქით გორაკებზე თქვენ ხედავთ აგრეთვე უბრალო გეგმის ძველ ეკლესიებს და კოშკებს. მაგრამ ირგვლივ მთელს აფხაზეთში თქვენ ხედავთ ქვეშაირით ქრისტეს სარწმუნოებით, სასოებით და სიყვარულით გამსჭვალულ ხალხს. ამ ქრისტიანობის დამამკიცხებელ სახელად თქვენ ხედავთ ზშირად აქა-იქ უზარმაზარ ძველ ტაძრებს, უბრალო გეგმით აგებული, მაგრამ თავისი ისტორიული იდეებით მეტის-მეტად შესანიშნავი.

ეხლანდელი სურათი ხელს ხსენს წარმოადგენსთ. ახალი ათონის შენობების გადაჯაღლიერება თქვენ გაფიქრებინებსთ, რომ თქვენ სოხუმის მახლობლად კი არა ხართ, არამედ მოსკოვის ან პეტერბურგის ერთ-ერთს უცხო შენობებით გავსილ უბანში. თქვენ ხედავთ უზარმაზარ სამსართულიან შენობას და შუაში დიდებულ მრავალფერებანიან ტაძარს. აქეთ-იქით არემარეს ხელოვნურად გაშენებულ სამოთხის მგვან ბაღს. არ მაგერა, რომ ჩვენი საქარის „სანერგე“ ან სხვა რომელიმე ბაღი შეედაროს ამ ადგილს. იგივე უშველებელი ზარების ხმა, რაც გესმის პეტერბურგსა და მოსკოვში, იგივე სატატატო ქალაქების დროს შესატყობელი ზარების რეკა. აქეთ-იქითან მონასტრის ახლოს მშვენიერი სპოიარი ადგილგება, შესანიშნავი ძობებებით, სათეველებით და ვენახით.

ვინ არიან აქ და ვის უკეთებია ყველა ესებო? აქ არის ერთი შესანიშნავი პირი, რომელსაც იგროსს უწოდებენ და რომლის თავისნობა ყველა ეს შენობები და მოწყობილობანი. აქ არიან რუსის რამდენიმე მღვდელ-მონაზვნები და მრავალი მორჩილანი და უბრალო ბერები. ამათი ნაღვეშია ყველას, რასაც თქვენ ხედავთ დღეს აქ. ყველა ეს დიდებული შენობანი და საუცხოვოდ მოწყობილი მღვდელ განზავათ რუსეთის ხალხის უხერ შეწირულების წყალობა. რუსეთის ხალხის, რომელიც ასე უხვად იძლევა შეწირულებას მონასტრებისა და ეკლესიების სასარგებლოდ, თავის სასიბრთლოდ და გარდაცვალებულთა მოსახსენებლად. იმ ხალხის შეწირულებით, რომელიც ყველას აძლევს შეწირულებას, ვინც უნდა იყოს, და ანგარიშის მიცემას არავისგან არ თხოვლობს. აქ სუფევს სასტიკი წესდებულება. ამ წესდებულების ძალით ამ მონასტრის მშაა შორის ჩარიცხვა არავის არ შეუძლია, არც ადგილობით მცხოვრებთაგანს და არც სხვა უცხო ტომისს (არა რუსს).

ვინ არიან ამ აყუიებული მონასტრის გარშემო მცხოვრებნი? ადგილობითი მკვიდრნი—აფხაზნი მამადის სარწმუნოების აღმასრულებელნი, რომელთა შორის ძლიერ მკირე ნაწილია ვაქრისტიანებული. ეს ვაქრისტიანებულნიც ქრისტიანული მღვდელ-მოქმედების აღსრულების შემდეგ მილასაც ასრულებინებენ ხოლმე მამადის რჯულს იმავე წესებს. ათონის მონასტერი არსებობს ოც-და-ათი წელიწადი (1576 წლიდან), მაგრამ ერთი ბერიც არ გვინახავს ჯერ ჩვენ აფხაზეთაგანი.

დიდი ფულია დახარჯული აფხაზეთის სამისონერო ეპარქიაზე და ძლიერ საინტერესოა შეტყობა, თუ რა სარგებლობა მოიტანა ამ დახარჯულობაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერეთ კიდევ ეს კითხვა არ გამორკვეულა. თუ „კავკასის“ სტატისტიკურ ცნობებს მივიღებთ სახეში, ამ 24 წელიწადში აფხაზნი, თითქმის, მთლად მოქტეულან ქრისტეს სარწმუნოებაზე. მაგრამ ნეტავი ვიცოდეთ, ეს მამადიანი აფხაზნი უცხოეთიდან შემოდიან, თუ აქაურები არიან? ყველა ეპისკოპოსებში, რომელთაც კი აქ ოდესმე უმსახურნიათ პირველი ადგილი უყოვია განსვენებულს გენადის, რომელიც იყო მოძრაზაინალი მიტროპოლიტის იოანნიკეს თაოსნობით და რომელიც თუმცა სიტყვით ვერაფერს აგებინებ-



და თავიანთ სამწყსოს, მაგრამ თავისი ცხოვრებით, საქციელით და მოქმედებით უფრო ბევრს ეუნებოდა ხალხს, ვინემ დიდი განათლებული მღვდელმთავარი. ამიტომაც მოხდა, რომ ორი ათას-რვაასმა კაცმა მიიღო ქრისტეს სარწმუნოება განსვენებულიის დროს. ის რომ დარჩენილიყო აქამდისინ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღემდის მიიღოდ გაქრისტიანდებოდნენ ყველა აფხაზნი.

ს ივლისს, რვა საათზე მივედით ნოვოროსიის ქალაქში. კაპიტანს გამეფეთხოვეთ, მაგრამ მადლობა არ გვიოქვამს... ეს კაპიტანი სრულებით ყურადღებას არ აქცევდა გემის სტუმრებს. ერთი რვა ქალი ამოერჩია და იმათან დროს ატარებდა და სხვა „პასაჟირებს“ აქვთ სასმელი, საჭმელი; ანუ სხვა რამ საჭირო, სრულებით არ დაეძებდა. გემის მოსამსახურენი ერთს გარდა თითქმის დამთერალნი იყენენ. ბევრჯელ შეგვხდებოდა გემით ზღვაზე მოგზაურობა, მაგრამ ასეთი ცული გემი და ასეთი უწყესრება, როგორიც ამ გემზე ყოფილა, არ გვჯერა, რომ სადმე იქნეს.

მოვშორდით აფხაზეთის მხარეს, რომელშიც ერთ დროს ქრისტიანობა იყო გაბრწყინებული და მსხოვრებთა რიცხვიც დიდი იყო, მაგრამ, დროთა ვითარებისა გამო, დღეს ქრისტიანობა ძლივდა ბეუტავს და ხალხიც აღარ სჩანს. ნოვოროსიიდან როსტოვით ორი დღისა და ღამის შემდეგ მოვედით დიდ ქალაქს ხარკოვში. ამ ქალაქის უსუფთაობა, ბაზრის უწყინდურობა და ღარიბული ვაჭრობა და საზოგადოდ ყველაფრის სიძვირე უნებლიედ იქცევის თქვენს ყურადღებას. რკინის გზის სადგურის წესწყობილება მაინც ნამეტნავად გაკვირვებს. მგზავრი ამ უშველემელ სადგურში ეძებ პირის დასაბანს, მაგრამ ვერსად ხედავ. კეთიბები ერთს, ორს, სამს და ბოლოს მიგიითებენ ზემო სართულში ასავალ კიბეს. აღიხარ ვიწრო კიბით და აქ ორ პატარა ოთახში ხედავთ დამწყრივებულ პირის საბანებს. მიღიხართ და პირს იბანთ. არც პირსახოცი, არც სავარცხელი და არც პირის საბანის სხვა საჭირო ნივთები. გათავებთ პირის ბანა და გამოდიხართ გარეთ. კარებში გვხდებთ კაცი და ორშაურს გთხოვს. თქვენ გული მოგდისთ, თუ რად უნდა მისცეთ ორი შაური ერთ ბოთლ წყალში. კაცი თავს მართლულობს მით, რომ რკინის გზას აქეს მიცემული მისთვის; აჯარით ეს პირის საბანი და

ვადლებულია ყველამ იხადოს ორი შაური. დიდ, კარგი წესები შემოულია რკინის გზის მმართველობას ხალხის საგულჯათი..

მაღე გავშორდით ამ ქალაქს ძლიერ ცული შთაბეჭდილებით და გავემგზავრეთ კიევისკენ. მეორე დღეს მივედით კიევში. კიევი ჩინებული ქალაქია. რუსეთის ყველა ქალაქებში წინსვლელობის ნიშანი აქ უმეტესად ეტყობა ყველაფერს. ელექტრონის ტრამვაიები, ელექტრონით განათება, ქუჩების სისუფთავე, შენობების სიღაპავე, ქუჩების რიგინობა, სასმელ-საჭმელის სიიფე და სიწმინდე, სასტუმროების და სასადილოების კარგად მოწყობილობა და ამას დაუმატეთ შშემენიერი წყალი, რომელიც გაყვანილია მთელს ქალაქში. გაკვირვებული ვკითხვებით ყველას, თუ რატომ ჩამორჩენიან ამ ქალაქს ისეთი ქალაქები, როგორიც არის მოსკოვი, ხარკოვი, როსტოვი და სხვანი, მაგრამ პასუხს არავინ გაძლევს.

აქ დავათვალიერეთ რუსეთის ხალხის შესამჩნევი წმიდა ადგილები. როგორც ყოველთვის ისე ეხლაც ჩვენ გვაკვირვებს მლოცველთა, ანუ უყეთ რომ ვსთქვათ, მოსიარულე ხალხის სიმრავლე ამ ადგილებში.

— რომელ გუბერნიიდან ხართ, კეთიბეთ ჩვენ ერთ ჯგუფ მლოცველებს.

— ზოგი ტაშვილიდან ვართ, ზოგი უფიმიდან, ზოგი სამარიდან, მოგვიგო ერთმა ამ ჯგუფუთაგანმა.

— ეკლესიები და მონასტრები ხომ არის თქვენში და იქ არ შეგძლოთ გელოცათ, უთხარით ჩვენ.

— მარტვა ლოცვისთვის კი არ წამოვსულვართ ჩვენ, მოგვიგო ერთმა, ჩვენ გვიწოდოდა გვენახს ზოგი, ახალი ათონი და სხვა-და-სხვა ქვეყნები და ხალხი და კიდევ ენახეთ. საიარული ჩვენ არ გვიჭირს, იქიდანაც ქვეითად მოვედით და აქედამაც ქვეითად წავალთ. ლოცვის ჩვენ რა ვიცით, დაუმატა ერთმა მოხუცებულმა, ჩვენ მღვდლებს ფულს ვაძლევთ და ისინი ლოცვილობენ ჩვენთვის, ჩვენ რა ვიცით ლოცვის?

კიევში მისვლის დროს ტრამვით წავედით ერთი მხრიდან მეორე მხარისკენ. ჩვენ მოგზაურობი ვიყავით ოთხნი და ქართულად ვლაპარაკობდით, ქართულმა ენამ ძლიერ გააკვირვა ჩენი თანამგზავნი.

ურები ვაგონში. ერთმა ქალბატონმა ცნობის მოყვარეობით გვითხა: „თქვენ ბერძნები ხართ?“

— არა, უთხარით ჩვენ, საქართველოდან ვართ, ქართველნი.

— აღბად ჩვენი წმიდა ადგილების თაყვანისა საცემლად მოსულხართ, სთქვა ამ ქალბატონმა.

— არა, ჩვენ შორს მივიღივართ და გზათ გამოვიარეთ ქალაქის დასახედავით. ჩვენ ეკლესიებიც გვაქვს და წმიდანებიც გვყავს და იქ ვლოცვილობთ, უპასუხეთ ჩვენ.

— არ შეიძლება, ჩვენი წმიდანები უნდა ნახოთ, თორემ ეწყინებათ მათ, თუ არ მიხვდით და თაყვანი არ ეცით, მოგვიგო მან.

— არა გვჯერა, რომ წმიდანები გავგოწყურენ მისთვის, რომ არ ავიდეთ გორაზე. ჩვენ აქედამაც შეგვიძლია ლოცვა, მიუხედავად ამ ცნობის მოყვარე ქალბატონს.

ქალბატონს ძლიერ ეწყინა ჩვენი სიტყვები. მართლა ისე მოხდა, რომ ავედით გორაზე ლავრაში, დავიარეთ გვირაბები სანთლთ და დაბრუნებისას ისევე შევხვდით იმ ქალს გზაში და, რომ უთხარით ჩვენი მოგზაურობა ლავრაში, ძლიერ იამა. საკვირველი ის არის, რომ ზოგიერთი კიეველები ამ წმიდანებს თავიანთ საკუთრებად ხაღიან და მლოცველები რომ მოდიან, ამით თავი მოაქვთ და, ცოტა არის, კიდევ ამპარტანოზენ და გულში ამბობენ: აი რა წმიდა ადგილებია ჩვენში და მათ წმიდანებს თუ პატებს სცემთ, ჩვენც განსოვდეთ, რომ სხვებზე წინ ვართო...

კიევიდან გამოვეშვარეთ ვარშაისკენ და მეორე დღეს დილის ცხრა საათზე მივედი ქ. ვარშავაში. დავითვლიერეთ ქალაქი. ბევრი გავვიგონია ამ ქალაქის სიკეთებზე და მშვენიერ წესწყობილებზე, მაგრამ არ გვჯეროდა. ქუჩების სისუფთავე, მშვენიერი გეგმით გაყვანილი ქუჩები, მშვენიერი წყლები უოველ ადგილას გაყვანილი მილით. ელექტრონის ტრამვაი, სახლების მშვენიერი გეგმა და სასმელ-საქმელის სიიაფე და ხალხის თავანთი მოქცევა და ფხიზლობა (ერთი დამთვრალი ქუჩაზე გარებული არ გვინახავს) გაოცებს მოგზაურს და რაღაც არ გვჯერა, რომ რუსეთში ხარ.

ყველას ურჩევ, რომ სამძღვარ-გარჯთ წასვლის დროს ვარშავაზე გაიაროს, რომ უოველ უცხოელს უთხარს: ჩვენც გვაქვს ისეთი ქალაქები,

როგორც თქვენა და ზოგიერთი მხარე უმჯობესოც-თქო!.. დიად, შესანიშნავია ვარშავა და პოლონელები- ამ ხალხს ერთი სნეულება შეპარვია და ის აღბადებვებს რამეში ხელს უშლისთ. ეს სნეულება, ჩვენი აზრით, არის ურიების სიმრავლე და ეს თემი, ჩვენ ვფიქრობთ, უძნელებს წინსვლელობის საქმეს პოლონელთა. თუ რამდენად რეგენნი და უგუნური უნდა იყვენ ისინი, რომელნიც ჩვენში ბრძანებენ ხალხმე, საქართველო მეორე „პოლშაოა“, ცხადა წარმოიდგენ, როდესაც პოლონეთს და მათ ქალაქებს ნახავ და მათ ცხოვრებას და გამქირახებას დააკვირდებით. ქართველების შედარება პოლონელებთან, სწორეთ იგივე იქნება, სპარსელები რომ შეადართ ფრანგებს. მეტის-მეტე მშვენიერი შთაბეჭდილებით გავედით ღამის ჩქარი მატარებლით ვენისაკენ. დილის რვა საათზე მივედი ვარშაის ქალაქში და ათი წამის შემდეგ გადავედი ავსტრიის სამზღვარზე. ნიუთების და პასპორტების დათვლიერების შემდეგ წავედით პირდაპირ ვენისაკენ...

დღე. ღ. ღამამაძიე.

(განგრძელება იქნება).



ჩვენი ზოფლის ცხოვრების კსლანდელი სეკიარ-განამო კითხვერისა გამო.

(წერილი მეორე *)



იად, ვერაფერი თავის მართლებას არის: „ნივთიერი სიღარიბისა გამო წიგნებ-ჟურნალ-განეთებს ვერ ვმოულობთო“, რომ ამბობენ ის სოფლის მოღვაწენი, რომლებიც გაუბრძინ თვით-განვითარებას. ჩემის აზრით ამ ხიფათს შემოვედებთ, თუკი გვწადია. მაშინაც, როდესაც გონებრივი წინსვლელობის პირველ საფეხურზე იყო, მოისაზრებდა ადამიანი, რაიმე ხერხი ეღონა

*) იხ. „მწვენი“ № 9-10. 1900 წ.

მის ღონეზე წაცილებული ტვირთის ასაწევით. განვითარების იმ ფაზისშიაც მოისაზრებდნენ ხოლმე კერძო ძალ-ღონეთა შეერთების მნიშვნელობას გასაქირის დროს, თორემ დღეს, მეცხარამეტე საუკუნის დასასრულს?... რა საკვირველია, ერთი კაცისათვის ძნელია, თუნდაც ნივთიერად შემძლე იყვეს, მოიპოვოს ყველა საჭირო წიგნები; ასევე ესთქვით, თუ გნებავთ, თითოეულ ეკლესიისა და საბლადოჩინო ოლქის შესახებაც, მაგრამ მთელი მაზრის შესახებ ამის თქმა მეტის-მეტი სასირცხო ოქნება. ნუ თუ ერთი მაზრის სამღვდლოებას არ შეუძლია იმდენი იღონოს, იმდენი წყარო მოპ- გვაროს საკუთარი გობიდან ოქნება, ეკლესიის საშვალეებიდან თუ კერძო შემოწირულებათა მო- ბოქვით, რომ ერთი საერთო წიგნთ-საცავი დაიარ- სოს? როგორ არა, მაგრამ ეს იმაზედ არის დამო- კიდებული, თუ რამდენად ვსაქიროებთ ამ ნივთს, რამდენად გვიღვივა გულში სიყვარული საზოგადო საქმისადმი! ავიღოთ, მაგალითად, ოზურგეთის მა- ზრა, სადაც 130 კრებული ითვლება: თითოეულ- მას კრებულმა რომ თავისი გობიდან 150 კაბ. გა- დასდოს წლიურად, ამდენივე ეკლესიის საშვალე- ბიდან მოავაგვართ, თითოეულ სამრევლოში კრე- ბულმა იგულის-მოდგინოს და თითო მანეთი კერძო შემოწირულება მოაბოქოს, შედგება 520 მ., რაც საკმარისია, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ჩინებული წიგნთ-საცავი გაიმართოს. რიგიანი წეს- დებით და გონიერი გამეგობით მაზრის საშუალს ადგილზე (გურიამი მაგ. არის ერთი ადგილი, რომელიც ერთ-და იმავე დროს ცენტრია გეოგრა- ფიულდაც და ეტროგრაფიულდაც) მდიდარი წიგნთ-საცავი დაკმაყოფილებს მოთხოვნილებას...

ესთქვით, იპრიანაღმერთმა და სოფლის მოღვაწეებმა მიჰყვეს ხელი თვით-განვითარებას. მერე რა? არც ის არის დიდი განძი, რომ განვითარებული, მაღა- ლი პრინციპების მექონი კაცი გულ-ხელ დაკრე- ბილი იჯდეს! შემდეგ ამისა გამრჯელობა და მოქ- მედებაა საჭირო. მაგრამ საქმე ის არის, რას უნდა მიექცეს ყურადღება, რა აწყლულეხს, ან სად წყლულდებიან მუწუკები? პირველად ყოველისა ჩემის აზრით, დიდი ყურადღების ღირსია სახალხო სკოლები, სადაც მოზარდი თაობა სწავლობს. ეს პაწია ბავშვები ერთხელ ჩვენნი ცხოვრების მოთავენი გახდებიან, ისინი შეადგენენ საზოგადოებას, ისინი

იქნებიან მოწინავენი სხვებისთვის; ამიტომაც ის სკოლები, სადაც ისინი იზრდებიან, დიდ მზრუნვე- ლობას თხოულობენ. მაგრამ ჩვენ არ უნდა გვაი- წყვდებოდეს, რომ, თუ კარგად ჩაუკვირდებთ, ჩვენი სახალხო სკოლები პირველ დაწყებითი კი არ არიან, როგორც ვეძახით; ისინი მხოლოდ ავ- სებენ, აფართოებენ ბავშვის მიერ უკვე დაწყე- ბულსა და რამდენიმედ შეძენილს სწავლა-ცოდნასა და აღზრდას. რომელია ეს პირველი სკოლა, ვინ და როგორი აღამიანები არიან იქ მასწავლებ- ლად?

ოჯახია პირველი და საუკეთესო სკოლა, სა- დაც იზადება და იზრდება აღამიანის ზნე-ხასიათიო, ამბობენ მეცნიერ-პედაგოგები. ბავშვის სული, გული და გონება პირველად წარმოადგენს დაუწერელს ქაღალდს, და პირველად ოჯახში დაიწერება მასზე ასეთი თუ ისეთი სთავე ზნეობისა, ხასიათისა, მიმართულებისა და გრძნობიერებისა. ამასთან რა კი ერთხელ დაიწერება, მისი უფხეკა მთლად შეუ- ძლებელია, რაც უნდა ვეცადოთ მის გადასწორე- ბას, მკრთალს სახეს მინც დასტოვებს სამუდამოდ. პირველი დამწერი არ მასწავლებელი კი მაგალი- თები არიან. ბავში პირველად მექანიკურად შეუე- ნებლად ითვისებს მხედველობით ყოველივე იმას, რასაც ხედავს. ერთხელ ერთმა დედამ ჰკითხა პას- ტორს (სამღვდლო პირს): როდის უნდა შეუდგე ჩემი შვილის აღზრდას, რომელიც ახლა ოთხის წლის არისოა.—„თუ აქნამდე არ მიგექცევია ყურადღება შენის შვილის აღზრდისათვისო, უპა- სუსა პასტერმა, დაგიკარგავს ოთხი წელიწადი, მაშინვე გქონდათ შემთხევეა ვესწავლებინათ შვი- ლისათვის, როდესაც პირველად გაიღიმოა“. ხოლო როდესაც წამოიზრდება ბავში, მაშინ გატაცებით უკვირდება საგნებს, ათვლიერებს, ერთმანეროს ადარებს, და ამ გზით მისი ჰქევა და გრძნობები ხარბად ითვისებენ ყოველივე შთაბეჭდილებას; თითოეული შთაბეჭდილება იტაცებს ბავშვის წარ- მოდგენას, და ღრმად აღიბეჭდება მისი სულის და გულის სიღრმეში. როდესაც ლაპარაკს ძლე- ბულობს, მაშინ მას უკვე გატანობილი აქვს ქვე- ცნიერება, უკვე ჩაყრილი აქვს საფუძველი მის მიმართულებას, ზნეობას, გრძნობიერებას... თუ როგორია ეს მიმართულება, ზნეობა და გრძნო- ბიერება, ეს იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რა

ხასიათის იყვენ ის მაგალითები ოჯახში, რომლებსაც ზედადედა და ემორჩილებოდა ბავში. თუ ოჯახი გამსჭვალული იყო ქრისტიანობრივი სიყვარულით, სათნოებით, სიმშვიდით, თუ დღიური ცხოვრება იქ პატიოსანი და კეთილშობილური იყო, მაშინ ბავშიც უწყველად ამ გვარ მიმართულებას ჩაინერგავდა სულისა და გულის სიღრმეში. პირ იქით თუ ოჯახში ერთი სიტლანქე, უხუნობა, სიძულილი და გულ-ჩახურულობა სუფევდა, მაშინ ვერც ბავში ასკდებოდა ამ გვარ გზაზე დადგომას. „ყოველად შეუძლებელია მშვიდი, წყნარი ბუნებისა და მოსიყვარულე გულის ადამიანი ავსარდოთ იქ, სადაც გარყენილება, გულის წყრომა და ეგვარგობა სუფევსოა, ამბობს ერთი მეცნიერი.

ჩაუკვირდით, ბატონებო, ჩვენი სოფელის შინაურულ ცხოვრებას და მაშინ გადაჭრით იტყვით, თუ ვინ და რა იქნება იქ გაზრდილი ბავში. რას ნიშნავს ის, რომ შვილი და ცოლშვილებამდისაც, თორემ ამის შემდეგ მეორე დღესვე ეყრება მახუცებულს მშობლებს (ძმას პირველ დღესვე გაეყრება) და უბატრონად ადგებს მათ? ძმა ძმას სახელს კი არა, „ბიჟოს“ ეძახის, შვილი მშობლებს „ბერი კაცსა და მონაზონს“ (დამამცირებელი სახელია). ყოველივე ესეები გარეგანი გამომეტყველებაა ოჯახში დაბუდებულ უთანხმოებისა, სიძულილისა, გაუტანლობისა და გულ-ჩახვეულობისა...

მართალია ბავშს სკოლაში ახარებს გლეხი კაცი, მაგრამ როგორ გგონიათ! ვის აქვს უფრო მეტი ზედ გაგლენა ამ დროსაც ბავშვზე, სკოლასა თუ ოჯახს, და იმ წრეს, სადაც ბავში ტრიალებს სკოლას გარედ? ვიტყვი მოკლედ, რომ ოჯახს და სკოლას გარეთა წრეს, ან საზოგადოებას. ბავში კიდევ ამით სცნობს თავისიანებად, „ქირისუფლებად“, ამათან უფრო დაახლოვებულია სულითა და გულით, ამათზე უფრო მეტი დანდობა აქვს, აქ უფრო თავისუფალი და გულ-ახილია, ამას კიდევ ხელს უწყობს ერთის მხრით მშობლების უვი-

ცობა: „მელიის და მამლის ამბავს ჩემზე უფრო კარგად გასწავლიან ივინია (მასწავლებლები), ამიტომ დადისარ იქია“, ეუბნებიან ბავშვებს და ამით უკარგავენ ნდობას სკოლაზე; მეორეს მხრით—მასწავლებლების გულციობა და უტაკტობა...

მაგალითების ზედგაგლენა და მიბაძულობა არა თუ მარტო სიყმაწვილენი, არამედ მიეღ ცხოვრებაში დაჰყვება ადამიანს. არ შეუძლია ადამიანს არ მიბაძოს მას, ვისთანაც მეგობრობა, მსკლელობა და კავშირი აქვს. მსკოვანიც ბავშვით უგრძობლად ემორჩილება სხვის მაგალითს. ამიტომაცაა ნათქვამი, კაცს იმ საზოგადოებით იკნობ, რომელითაც გარე მოკუთლიაოა, „იცხოვრეთ მგლებთანო, ამბობს ისპანელთა არაკი, და თქვენც შეეჩვევით მგლებივით ღმუილსოა“.

მაშასადამე თუ საზოგადოება (ე. ი. მოზრდილები) გამსჭვალულია კეთილშობილური გრძობებით, რწმენით, მაშინ მის ზედგაგლენის ქვეშ მყოფი ადამიანიც კეთილშობილია; პირ იქით თუ საზოგადო მიმართულება, ახრი და მიტქმედება გაზრწნილია, მაშინ იქ მოხვედრილი ადამიანიც ასეთსავე გზას ადგება. ვინც უკვირდება ჩვენი ხალხის ცხოვრებას, ის თითონ მიხვდება, რომელი (ამ ორში) ატმოსფერი ტრიალებს იქ! ის ადვილად დამეთანხმება, რომ ჯერ კიდევ მთელი საუკუნოები, ბევრი თავდადებული ღვაწლი და მსხვერპლია საქირო, რომ ხალხის ცხოვრება სახარების მკენებზე და მოძღვრებაზე აიგოს.

მე ამით იმას მოგახსენებთ, რომ ნორა მოზარდს თაობას გაუწვროთათ გონება, ხასიათი, ზნეობა, რომ ხალხი ადრე გამოირკვას ბურჟუაჟანგ მოკული მდგომარეობიდან, რომ სკოლები არ ჩაყაროთ უნაყოფოდ, მზრუნველობა-შრომა მოსწავდე ყმაწვილებზე მიუცილებელია, თვით ოჯახებში შვიტანოთ ნაბერწკალი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სწავლა-განათლებლისა, თვით ოჯახების უფროსებთ, ცხოვრების მოთავე სოფ-



ლელთ, მოზრდილთ გაუწვრთნათ გონება, ზნეობა, ხსიათი... რა გზით შეიძლება ეს? საკვირაო სკოლები, სახალხო საკითხავები, ლეთის მსახურების გარეშე საუბარი—მოძღვრება, ეკლესიის კათედრიდან სწავლება—აი ის გზა, რომელიც მიგვალწვევინებს ამ დიად მიზანს, და რომლის გავალდვათავალის წინებაზე შემდეგ მოგახსენებთ.

ბლ. შღვ. ჯ. ჩხაიძე.



სასწაულები ჩვენს დროშიაც ხდება.

მართალია, ძველს დროში, მეტადრე ქრისტიანობის პირველ საუკუნოებში, სასწაულები მრავალი ხდებოდა. ჩვენის დროის ადამიანები განცვიფრებით ისმენენ წმიდა სახარებიდამ ანუ-სხვა სამღვთო წერილიდამ დიდათ გამაცვიფრებელ მრავალ რიტუოვან სასწაულების მოთხრობას. მრავალთ ჩვენის დროის სუსტის რწმენის და კვავგონების პატრონ ადამიანებს საეტეკოდ მიზნით ზოგი ასეთი მოვლენანი; კუჟა-გონების დაეთარი ერვეთ და უნებლიეთ ეკითხებიან თავიანთ გზა დაბნეულ მოსაზრებას: «ნუ თუ ყოველივე ის მართალია, რაც აღბეჭდილია სამღვთო წერილებში; და თუ მართალია, ჩვენს დროში, ჩვენს ცხოვრებაში რატომ ერთი მაინც არ მომხდარა ამ გვარი სასწაულები“-ო. და სხვა. როგორ არა? მცირედ მორწმუნენო! ჩვენს დროშიაც ხდება სასწაულები, მაგრამ ჩვენი ურწმუნოებით დაბნედილი თვალი ვერა ხედავს მას და აზრი და გონება ვერ გებულობს... რომ ჩვენს დროშიაც ხდება აქაიქ, სამღვთო წერილში მოხსენებულის სასწაულების მგავსი მოვლენანი, მაგრამ ჩვენი ურწმუნო აზრი და გონება მას სასწაულად არა სთვლის, არამედ სულ სხვა გარემოებას აწერს, ამის დასამოწმებლად აქვე მოვიყვანთ ერთ ძველს მაგრამ საყურადღებო ამბავს: ამ რამდენისამე წლის წინად ჩვენს მხარეში ძალიან დიდი გოლვა იდგა; ყოველ გვარი მიწის მცენარეულობა გაახმო ძლიერმა სიცხემ, ცამ

შეპკრა პირი და წვეთი ნამი აღარ გამოიმეტა დედა-მიწისათვის, ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა; მწადე სენი სიმშოლსა თვალ-წინ უდგა ყველას; იმედი მიწის გალობისა და გავრლების სამყაროდამ არას კუთხით სჩნდა, გოლვა გრძელდებოდა, მძაფრი სიცხე თან-დათან ძალას იმოსდა და ცეცხლს უღებდა დედა მიწასა და მის ნაყოფთა.. სწორეთ ამ განსაცდელის დროს ამობრძანდა რაქაში, ჩვენის ეკლესიის მადლიანი და დამამშვენებელი მსახური, აწ უკვე განსვენებული ეპისკოპოსი გაბრიელი. ჩვენი ხალხის უმრავლესი ნაწილი ყოველთვის ქეშმარიტის სასოებით აღკურვილნი ეგებებოდნენ ამ ჩვენის ეკლესიის კრებულთა მნათობს.. ამ შემთხვევაში-კი, ერთი ორად იჩინა თავი ხალხის სულსა და გულში ამ ქრისტიანულმა გრძობამ.. ხალხი ორთავე სქესის დიდი და პატარა სასოებით შემოხვებია გარს თავის მადლიანს შამათ მთავარს და ცრემლით შევედრენ, რომ მას ეკურთხებია მდინარე რიონი. მოისმინა თუ არა ხალხის თხოვნა, გარდახედა რა, სასოწარკვეთილების სამძღვარზე მიხწვენილს თავის სულიერ სამწყსოს; მეცნიერი მღვდელთ-მთავარი დაფიქრდა... რამოდენიმე წამის სიწუმის შემდეგ მოესმა ხალხს მანუგეშებელი ხმა: «ნუგეშინიანთ, შეიღებო, სასოებას ნუ წარიკვეთ; ამაღამ მოგმზადეთ ლოცვა-ვედრებით, მეც მოვემზადები და ხვალ ვაკურთხებ მდინარეს, და თუ გულ წრფელის სასოებით შევსთხოვთ უფალს, უთუოდ შეიწყნარებს ჩვენს ვედრებასო. ხალხი ნუგეშ მოპოვებული დაიშალა. მღვდელთ-მთავარმა მივლი ღამე საიდუმლო ლოცვაში გაატარა: დილით ადრე ადგილობრავ ეკლესიაში შეასრულა საციკარო მღვთის მსახურება. გათენდა დილა, მაგრამ არა სანუგეშო: სარკესაით გადაწმენილი ცა, წითლად ლაპლაპებს; გამოჩნდა თუ არა სამყაროზე პლანეტთა მეფე (მზე). მოიცვა დედამიწა სულის შემზუთველმა სიცხემ; დილის ათ საათზედ სატაძრო შესამოსლით შემოსილი სამღვდლოება ჯვრითა და ხატებით ლიტანიით მივიდნენ მდინარის პირზე და ელოდნენ მღვდელთ-მთავრის მობრძანებას. გამოჩნდა მღვდელთ-მთავარიც, რომელიც მარტოლ-მარტო მობრძანდებოდა ფხვით; ორივე ნაპირი მდინარე რიონისა სავსე იყო ორთავე სქესის ხალხით.

მიუახლოვდა თუ არა მღვდელთ-მთავარი მდინარეს, შემოსილი სამღვდლოება ჯვრითა და აიაზმით შეეგება მას წინ და მიართევს მანტია და კვერთხი. მღვდელთ-მთავარი შეიძინა მანტიით, ხელთ იპყრა კვერთხი, ემთხვია ჯვარს, იპყრა აიაზმა, გარდასახა ოთხივე კუთხით ჯვარი ხალხს და ავიდა იორდანეზე. დიწყოა წყლის კურთხევის წესის შესრულება. მღვდელთ-მთავარმა მუხლი მოიდრიკა, აღაპყრო ხელი ზეცად, სასოებით ეამბორა ჯვარს და შთასვენა მდინარეში. ამ დროს მთელი ხალხი პირქვე დაემხრა მიწაზე და ცრემლით ევედრებოდნენ უფალს.. ამოასვენა ჯვარი მდინარიდან თუ არა, ნაკურთხის წყლით ასხურა იორდანიდან და ჩოქილი ხალხი. ჰოი, საკვირველებავ!! ამ დროს უფერად გაისმა ცაში გრგინვის ხმა და გაჩნდა აქა-იქ სქელი ღრუბლები. მღვდელთ-მთავარმა მეორედ ჩაასვენა ჯვარი მდინარეში და ასხურა ხალხი წმიდა წყლით. ამ დროს ჩვენ უღირსთა ვიხილეთ ნამდვილი სასწაული: და იწყო ნელ-ნელი თქორვა.. მღვდელთ-მთავარი გაბრწყინდა... მესამედ ჩაასვენა ჯვარი მდინარეში თუ არა, დაუშვა კიდევ საკმაოდ სხვილი წვიმა!.. მღვდელთ-მთავარი აღიტაცა სულიერმა ნეტარებამ და მხიარულეზამ.

ადამიანის ენა ვერ გამოსთქვამს და კლაში ვერ აღწერს იმ სულიერ აღფრთოვანებას, რომელსაც იმ დროს გამოამეტყველებდა ჩვენი დიდებულის მოძღვრის სახე... წყლის კურთხევის, წესრიგის შესრულების შემდეგ ზეგარდმო მადლით დაჯილდოებულმა მღვდელთ-მთავარმა მუხლ-მოდრეკით გარდაიხადა სამადლობელი პარაკლისი და ჯვრითა და უსუპით გამოვიდა იორდანედამ. ამ დროს სიხარულით აღტაცებულმა ხალხმა ერთხმად შესძახა: „კურთხეულო მღვდელთ-მთავარო, კურთხეულო არს შენი მობრძანება, სწორედ შენი მადლიანი ლოცვა ევედრება შეიწყნარა უფალმა, მოგვხედა მოწყალების თვლით და გვისხნა უკიდურესის განსაცდელისგან“-ო. ხალხი ეხვეოდა

ირგვლივ და ეამბორებოდა ზოგი ხელზე, ზოგი მუხლზე, ზოგი მ-ნტიის და ანაფორის კალითზე. ამ დროს მღვდელთ მთავარი ნამეტანის სულიერის მღვდვარების გამო ცრემლს ვეღარ იკავებდა. „იხარებდეთ სულით და მადლობდეთ მარადის სასოებით უფალს ამ სასწაულის მოვლენისათვის, უბრძანა მღვდვარე ხმით ხალხს. გზა თუმცა საკმაოდ ატალახა წვიმამ, მაგრამ მღვდელთ-მთავარმა ცხენზედ შებრძანება არ ინება, ხალხთან ერთად ფეხით წაბრძანდა ბინაზე. წვიმამ უმატა, ამ დროს მისრის უფროსმა თავადმა ჩიჯავაძემ ყოვლად სამღვდლოს მისთავაზა ქოლგა, მაგრამ მღვდელთ-მთავარმა არ ინება ქოლგის დახურვა, ეგ წვიმა ზეგარდმო მადლით მოვლენილი ნელ-საცხებელი არის ჩემთვის და ქოლგა ამ შემთხვევაში რა საჭიროაო, ბრძანა. ბინაზედ მიბრძანდა თუ არა ყოვლად სამღვდლო, სადილობის დრომაც მოაწია, ვგონებ არავის არას დროს ისე მხიარული არ ენახოს ეს იშვიათი მწყემსთ-მთავარი, როგორც ამ შემთხვევაში იყო... ესეთი თვალ საჩინო სასწაულებრივი მოვლენა არა თუ ჩვენის დროის მართლ-მადიდებელ ადამიანის გულში, თვით ქრისტეს თანამედროვე ფარისევლების გულშიაც კი ვაანელებდა ურწმუნოების გრძობას, მაგრამ... ამ შემთხვევაშიაც იჩინა თავი ჩვენში შემაძრუწუნებულმა ურწმუნოებამ: სწორეთ შუა სადილის დროს რაქაში ერთმა საპატოო თანამდებობის მექონმა პირმა მიმართა ეპისკოპოსს შემდგვის სიტყვებით: „თქვენო მეუფევაჲ! უმორჩილესად გთხოვთ მიბრძანოთ, საიღამ გამოიწერეთ თქვენი ბარომეტრი, რომელიც ეგრე შეუტკომლად ნაჩვენება ჰაერის ბუნების ცვლილებას, რომ მეც გამოვიწერო იქიღამ მაგის თანა ბარომეტრია-ო. რა ბარომეტრიო! გაკვირვებით ჰკითხა მწყემსთ-მთავარმა; „ი, იმ თქვენს ბარომეტრზე მოგახსენებთ, რომელმანაც ეგრე სინამდვილით გაჩვენათ, რომ დღეს გაავდრდებოდა და რომლის გამოცდილებით დაიმედებულმა ინებეთ დღეს მდინარე რიონის კურთხევა“-ო. მოი-

«მუშაობის» კორკმსონდენია

(პარიტიდან)

სინა თუ არა ეს სიტყვები, თითქო რალკამ მწარედ უკბინაო, მღვდელთ-მთავარი შეშფოთდა!. მისი უმაღლესის სიხარულით გაბრწყინებული მოლიმარი სახე კმუნვის ღრუბლით შეიმოსა, უმაცყოფილოდ თავი გაიქნია და მქისად უბრძანა: „მე არ მეგონა, თუ ამ შემთხვევაში ჩვენ შორის ურწმუნო თომა აღმოჩნდებოდაო. ჩემი ბაროტრი ჩემი სარწმუნოება და ჩემი გულწაფელი რწმენა მღვთის ყოვლის შემძლებლობაზე, და მის დამი სასოებით ლოცვა-ვედრება არის და არა რომელიმე სახელოსნოდამ გამოწერილი და ნასყიდი მანქანაო, და გულ-ნაწყენი აბრძანდა სუფრიდამ და გავიდა მეორე ოთახში... სწორედ ზემო აღნიშნულ სასწაულებრივ მოვლენის მზავს მოგვითხრობს გავილის წლის „მწყემსის“ 15—16 №-ში, პატივცემული მღვდელი ანტონ გოლითიანი, როდესაც ოყურეშიდამ შეუსვენებით ხვამლის მთაზედ ძღვევა-მოსილი ხატები მთავარ მოწამის წმინდა გიორგისა.. რას უნდა მივაწვროთ ესეთი განსაცვიფრებელი მოვლენანი, თუ არა მღვთის მიერ მოვლენილ სასწაულს?!! დაიხ, მღვთის მოსავი მადლიანი ადამიანები ჩვენს დროშიაც იწყევენ სასწაულებს, მაგრამ ჩვენი ურწმუნოებით დაბრმავებული თვალი ვერა ხედავს მას და ქკუა გონება ვერ იგნებს.. მაცხოვრის თანამედროე თომას მხოლოდ ის არა სწამდა, რასაც თავის თვლით არ იხილავდა; ხოლო ჩვენის დროის ურწმუნო თომებს ისიც კი არა სწამთ და არ სჯერათ, რასაც თავის თვლით ხედავენ და ყურით სმენულობენ მღვთის ყოვლის შემძლებლობაზე...

ქაიხოსრო გელაფანი



ქეიმების კონგრესი (კრება) გაიხსნა ოც-და-ორ ივლისს. კრებაზე დასწრე ქეიმების რიცხვი 6170 იყო. ამ რიცხვში საფრანგულიდან იყო 2293 ქეიმი, რუსეთიდან 801, გერმანიიდან 572, ამერიკიდან 412, იტალიიდან 141, შვეიცარიიდან 101, არგენტინის რესპუბლიკიდან 108, ვენგრიიდან 88, ჩეხიიდან 84, რუმინიიდან 60, კოლანდიიდან 55, ეკვატორიიდან 47, დანემარკიიდან 46, იაპონიიდან 43, ბრაზილიიდან 41, სათათრეთიიდან 39, ზორტუგალიიდან 35, საბერძნეთიიდან 33, ზოლონეთიიდან 30, შვედიიდან 28, ბოლგარიიდან 26, მექსიკიიდან 24, კანადიიდან 20, ნორვეგიიდან 18, დიუქსიმურგიიდან 16, სურბიიდან 15, კროაციიდან 8, ზერუიიდან 6, ავსტრალიიდან 4, სხვა-და-სხვა მხრიდან 63, საქართველოიდან 4. ქართველი ქეიმები კონგრესსზე დასწრეს გ. დამაშვიდ, გელაფანიშვილი, ტანასიძე და მსხიძე. კონგრესზე თითქმის უკვლახად წარმომადგენელმა ქეიმებმა წარმოსთქვეს სიტუებები, რომელნიც ტუპის კვრით იყო მადებულები, ქეიმებს შესჯერებულ დარბაზა მეტად დიდი იყო. ზირველი სხდომის სმი სათან გავრძელდა. რესპუბლიკის გავრდიის მუხაკამ მარსელიზა დაუგრა და გამთავისის კადეკ მუხაკით აღსრულდა კრება. შემდეგ რამდენიმე სეკციებათ დაიყვნენ ქეიმები და ამ ნაირად მუშაობენ. სეკციებზე სხვა-და-სხვა ავადმყოფობათა შესახებ აქვსთ მსჯელობადილის 9 საათიდან 12 სათამდე და სდამოის 2 საათიდან ხუთ სათამდისინ. კრებაზე ზირველად აკადემიის ზრეზიდენტმა წარმოსთქვა ვრძელი სიტუება, რომელიც ხანგრძლივი ტუპისკვრით იყო მადებულები. შემდეგ საუურადლებო სიტუება წარმოსთქვა ერთმა ინგლისელმა, კერმანელმა და მდაგასკარის ქეიმებმა, რომელიც სიტუებობდ ადტრებობთ იყო მოსმენილი. სიტუებების გათავების შემდეგ უკვლახან ცნობილმა ქეიმმა და მეცნიერმან წარმოსთქვა სიტუება, ეს სიტუება ნემეტურ ენაზე წარმოსთქვა და მისათვის ბევრმა დატოვა კონგრესის ზადა. კონგრესის ვახსნის შემდეგაც ბევრი მოვადნენ ქეიმები, ასე, რომ შვიდი ათასამდე იქმნებთან. 27 ივლისს იქნება უკანსკელი კრება და კადეკ გააწვევებენ, თუ სად მოახდინონ შემდეგი კონგრესი.

დეკ. დ. დამაშვიდ.



სსრკ-ის შურნალ-გაზეთებიდან.

ერთ რუსულ გაზეთში სასურაღებო ცნობებია დაბეჭდილი ამერიკის დიდ ქალაქების შესახებ. ცნობები შეეხება იმ ქალაქებს, სადაც ნახევარ მილიონზედ მეტი მცხოვრებია. აი ეს ქალაქები:

ნიუ-იორკი . . .	3,500,000	მცხოვრ.
ჩიკაგო	1,850,000	"
ფილადელფია . . .	1,240,266	"
სენ-ლუი	623,000	"
ბოსტონი	582,000	"
ბალტიმორი	541,000	"

სასწავლებელთა რიცხვით ამ ქალაქებს შორის პირველი ადგილი, რასაკვირველია, ნიუ-იორკს უჭირავს, სადაც 21 უმაღლესი და 380 სხვა სასწავლებელია. სწავლობს იქ 382,833 კაცი და ქალი. ჩიკაგოში 14 უმაღლესი და 304 სხვა სასწავლებელია, სწავლობს 236,239 სული. ფილადელფიაში—5 უმაღლესი და 428 სხვა სასწ., ბოსტონში—11 უმაღ. და 89 სხვა სასწ., ბალტიმორში—3 უმაღ. და 179 სხვა სასწავლებელი. წიგნთ-საკაცებით, სამკითხველოებით, წიგნის მალაზიებით ბოსტონს ვერც ერთი ქალაქი ვერ შეედრება; მარტო საჯარო წიგნთ-საკაცი ამ ქალაქისა 716,050 ტომს შეიცავს.

ლოთობისათვის ორთა შუა რიცხვით წელიწადში აპატრირებენ:

ნიუ-იორკში	46,170	კაცს
ჩიკაგოში	42,212	"
ფილადელფიაში . .	943	"
სენ-ლუიში	3,649	"
ბოსტონში	26,157	"
ბალტიმორში	9,681	"

აქედგანა სჩანს, რომ ბოსტონში, მაგალითად, ლოთობა გაცილებით უფრო ძალიან ყოფილა გავრცელებული, ვიდრე ფილადელფიაში, სადაც ორჯელ მეტი მცხოვრებია.

მკვლელობა ორთა შუა რიცხვით ხდება: ნიუ-იორკში—381, ჩიკაგოში—40, ფილადელფიაში—31, სენ-ლუიში—36, ბალტიმორში—32. ამ შემთხვევაში ჩვენის კავკასიის ქალაქებიც-კი დასჯანიან ამერიკის ქალაქებს: ისე როგორ გაივლის

წელიწადი, რომ აქ უზნიშვნელო ქალაქებშიაც-კი რამდენიმე ათი მკვლელობა არ მოხდეს.

ამერიკის ქალაქებს ვალი დიდი ადევთ, თუმცა ამავე დროს ქონებაც დიდი აქვთ. ნიუ-იორკის ვალი, მაგალითად, 343,276,728 დოლლარს (დოლლარი დაახლოვებით ორი მანეთია) შეადგენს ხოლო საკუთრება ამ ქალაქს 3,073,782,845 დოლლარისა აქვს.

ზემოდ ჩამოთვლილ ქალაქების მცხოვრებნი თუმცა საზოგადოდ დიდს გადასახადს არ იხდიან, მაგრამ ევროპის ზოგიერთ ქალაქთან შედარებით ეს გარდასახადი მაინც თვალსაჩინოა. ინგლისის ქალაქ გლაზგოში, მაგალითად, მცხოვრებნი არავითარ გადასახადს არ იღებენ, რადგანაც ქალაქს დიდძალი შემოსავალი აქვს სხვა-და-სხვა საკუთარ საეაქრო და სამრეწველო დაწესებულებიდან.

* *

ჩინეთში თითქმის არც ერთის პირუტყვის ხორცს არ ვრიდებთან. კანტონის ხორცის დუქნებში ხშირად შეხვდებით დასუქებულს ძაღლებს. განსაკუთრებული დუქნებია, სადაც მხოლოდ ძაღლის ან კატის ხორცითა ვაჭრობენ. დიდი ფასი აქვს ჩინეთში თავის. ხის შამფურზედ აგებულს თავვეებს ხშირად ქუჭებშიაც ჰყიდიან.

პეკინსა და იმის მახლობელს ადგილებში, ძალიან შეექცევიან აქლემისა და ვირის ხორცს. ატოლში ქალის რძესა ჰყიდიან; ჩინელებს სჯერათ, რომ ასეთი რძე მოხუცებულს ძალისა და ღონეს უბრუნებს. ძროხის რძეს მხოლოდ ჩრდილოეთში ხმარობენ, სამხრეთში კი სასტიკად არის იგი აღკრძალული.

ყველი ჩინელს პირივით ეჯავრება. ამავე დროს იგი საღს კვერცხს ღაყყს ამჯობინებს, მაგრამ უპირველესს, საუკეთესო საკმელოდ ჩინეთში მაინც მერცხლის ბუდე ითვლება, რასაკვირველია, კარგად მოხრაკული და მომზადებული. არც ერთის მდიდარის ჩინელის ნადიმი, ქორწილი, ან სხვა შესანიშნავი დღე უმერცხლის ბუდეოდ არ ჩაივლის. საპატრიო სტუმარს პირველად ყოველთვის ამ ბუდეს მისთავაზებენ ხოლმე. ძალიან ეწყინება მასპინძელს, თუ სტუმარმა დიდად არ შეაქო ეს საკმელი.

ესეც კი ჩინელს ამ საქმეში სწავლა და და-
რიგება არ ეტკირება. ზრდილობას ჩინეთში ძალიან
დიდი ფასი აქვს და უბრალო ლაპარაკის დროსაც
კი ორი ჩინელი ერთმანეთის ქებასა და „კომპლი-
მენტებში“ არიან ხოლმე. ზრდილობის ნიმუშად
ერთს რედაქტორის წერილს მოვიყვანთ, დაწუნე-
ბულის ხელთნაწერის ავტორთან ვაგზავნილს:

„მზისა და მთვარის დიდებულო ძმაო!

კეთილის თვალთ შებედე მონასა შენსა,
რომელც შენ ფეხთა წინაშე დაცემული მოწყა-
ლებასა ვთხოვს. წინაპართა ძელებსა ვფიცავ, რომ
ამ თხზულებაზედ უკეთესი არასოდეს არა წამიკითხ-
ნია-რა, მაგრამ ჩვენ უღირს ვაზნეთში რომ დავ-
ბეჭდოთ იგი, მაშინ იმპერატორი გვიბძანებს შემ-
დეშაიც ასეთი თხზულებანი ვბეჭდოთ. ხოლო ამ
გვარს რასმეს 10,000 წელიწადში ერთხელ ვერ
ვეღირსებით. ამიტომ გიგზავნი უკანვე შენს მაღალ
აზროვანს თხზულებას და ამასთან ათი-ათასჯერ
ბოდიშს ვიხდი. შენი უმდაბლესი და უღირსი
მონა“.

* *

სასულიერო უწყებაში განკარგულება იქმნა
გაცემული, რომ სასულიერო სემინარიების სხვა-
და-სხვა კლასებიდან დათხოვნილებმა და საეკ-
ლესიო სკოლების მასწავლებლის ადგილის მიე-
ბნელებმა ჯერ სასულიერო სემინარიებთან დაარსე-
ბულ სამაგალითო სკოლაში ან რომელსამე მეორე
კლასიან სასწავლებელში უნდა იარონ ექვსის
თვის განმავლობაში, შემდეგ სამაგალითო გაკვე-
თილი მისცენ და ბოლოს გამოცდილ უნდა იქ-
მნენ, რამდენად არიან ვაცნობილნი სახელმძღვა-
ნელოებთანაო. მხოლოდ ასეთის გამოცდის შემ-
დეგ შეიძლება მიეცეთ საეკლესიო სკოლის მას-
წავლებლის ადგილიო.

ცალკე ეპარქიებს კვლავ გამოეცხადათ, რომ
საეკლესიო სამოსახლო ადგილები არ შეიძლება
იჯარით ვაიციეს ისე, რომ მოიჯარადრეს უფლება
ჰქონდეს ზედ შენობის აგებისაო.

სატახტო ქალაქებისა და მის ახლო მყოფ
ქალაქების სასულიერო წოდებამ, ყურადღება მი-
აქცია რა უკანონო შეფუძლებათა სიმრავლეს,

შემიუშავა და გარდასწყვიტა ჯეროვანი შუამდგო-
მლობა აღძრას, რომ კანონდებულების წესით
შემდეგი წესები იქმნას დამტკიცებული მწყემსთა
სამოღვაწეოდ იმ შემთხვევისათვის, თუ მშობლები
ნებას არ აძლევენ შვილებს კანონიერად შეუღ-
ლებისს. სრულ წლოვანნი და ცხოვრებისათვის
მომზადებულნი, თუ მშობლებმა ნება არ დაურთეს
კანონიერად შეუღლებისა, შეიძლება ჯვარდაწე-
რილ იქმნან მღვდლის მიერ მშობლების ნება-
დაურთველადაც. თუ მშობლებმა უარი უთხრეს
თავის ქალიშვილსა ანუ ვაჟიშვილს და ჯვარის
დაწერის ნება-რთვა არ მისცეს კანონიერ დაბრ-
კოლებათა აღუნიშვნელად, მღვდელთა მოვალეა
აუხსნას ასეთს მშობლებს უფლება მათის შვილ-
ებისა და ავრეთევს ის მაგნებელი შედეგი, რომე-
ლიც შეიძლება კანონიერად შეუღლების ნება-
დაურთველობას მოჰყვეს.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ნამდვილი წყაროებიდამ შეიკვიცეთ, რომ
გორის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდლო ლეონიდე
დაუნიშნავთ იმერეთის ეპისკოპოსად. იმედია, რომ
მათი მიუფება თავისი განივრული მოქმედებით ზმარ-
თლ-მსაჯულებით ჩვენს სამღვდლოებს მოაგონებს
ნეტარ ხსენებული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიე-
ლის მმართვა-გამგეობის დროს.

* *

6 ავგისტოს დღით ყოვლად სამღვდლო
ლეონიდეს, ეპისკოპოსს გორისას მოუვიდა შემდეგი
დებეშა ჰეტერბურგიდან საქართველოს ექსარხოსის
ფლამიანესაგან: „იკისრეთ და განკარგულება მოახ-
დინეთ ყოვლად-სამღვდლო ბესარიონის გვამის
დაკრძალვის შესახებ იმერეთის საეკლესიო ხაზინის
ხარჯით, აგრეთვე მიიღეთ ეპარქიის საქმეთა გამგე-
უბა“. ყოვლად სამღვდლო ლეონიდე 8 ავგისტოსს
ჩამობრძანდა ქუთაისში ყოვლად სამღვდლო
ბესარიონის გვამის დასაკრძალავად; მათმა მიუფებამ
ქუთაისში დაჰყო რამდენიმე დღე საქმების წეს-
რიგში მოსაყვანად და კვირას, 13 ავგისტოსს, წაბრ-
ძანდა ტფილისში.

* *



უწმიდესის სინოდის განმარტებით, იმ შემთხვევებში, როცა რაიმე მიზეზისა გამო საღმრთო სჯულის სწავლებას სახალხო პირველ-დაწყებით სკოლაში ვერ იკისრებს მახლობელი მრევლის მღვდელი, უნდა მოიძებნოს ამ საქმისათვის უმრევლო მღვდელი ან დიაკვანი. თუ ესეც არ მოხერხდა, შეიძლება ერის კაციც მოიწვიონ, თუ რომ მას საღვთისმეტყველო განათლება აქვს მიღებული. მაგრამ ამისათვის ყოველთვის ადგილობრივის ეპისკოპოსის ნება-ართვაა საჭირო და ამ გვარ მასწავლებელს არა აქვს უფლება „საღმრთო სჯულის მასწავლებლის წოდებისა“. რაც შეეხება იმ პირებს, რომელთაც სასულიერო განათლება არ მიუღიათ, ამათი მოწვევა საღმრთო სჯულის მასწავლებლად შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში და ყოველი ამგვარი შემთხვევა უნდა მოახსენოს ადგილობრივმა ეპისკოპოსმა უწმიდეს სინოდს. ამგვარ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად უწმინდესმა სინოდმა დაადგინა ეთხოვოს საერო განათლების სამინისტროს, რომ მან ახალი სკოლების გახსნის ნება არ მისცეს მათ, ვისაც საღმრთო სჯულის მასწავლებელი წინდაწინვე არ მოუქმებია.

* *

სახელმწიფო საბჭოს დადგენილების ძალით, 1901 წლიდან გადადებული იქმნება ყოველ წელს ხაზინიდან იმ თანხის დასამატებლად, რომელიც უწმ. სინოდს ეძღვევა, 3,518,570 მანეთი, აქილდან 3,468,820 მანეთი სამრევლო-საეკლესიო და წერაკითხვის სკოლების დასაარსებლად და შესანახად და 45,050 მ. საეკლესიო-სამრევლო სკოლების საბაზრო ზედამხედველების დამატებით ჯილდოებისათვის.

* *

საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის იუბილეისათვის ერთს ჯგუფს ახალგაზრდებისას განუზრახავს გამოსცეს საიუბილეო კრებული, სიდაც სხვა საიუბილეო წერილებთან ერთად მოათავსებული იქმნება ყველა ის ტრაქტატები, რომლებითაც რუსეთის მთავრობა შეჭკვრია ქართველ მეფეებსა და მთავრებს.

* *

ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს საყოველთაოდ უცნობებია საეკლესიო სამრევლო სასწავლებელთა მზარის მეთვალყურეები-

სათვის, რომ საღმრთო სჯულის სწავლება საეკლესიო სასწავლებელში პირველ წლის მეორე ნახევარში უნდა დაწყებული იქნას რუსულს ენაზე და მისი სწავლება ერთად უნდა სწარმოებდეს ქართულსა და რუსულს ენებზედაც. მაგალითებ, შვასწავლის რა საღმრთო სჯულის მასწავლებელი მოსწავლეებს ლოცვებს ქართულს ენაზე, იგივე ლოცვები რუსულს ენაზედაც უნდა ასწავლოს ისე, რომ სწავლის მეორე წელიწადის დასაწყისიდანვე (მეორე განყოფილებაში) საღმრთო სჯულის სწავლება რუსულს ენაზე სწარმოებდეს, რასაკვირველია, ჯეროვან განმარტებით სამშობლო ენაზედაც.

* *

პარიზიდან გეწერენ: 15 ივლისიდან მოკიდებული რუსეთის ივლისისმდე მშვენიერი გრილი დღეები დგას. გამოცენის მნახელი ხალხის რიცხვი თან-და-თან მატულობს; კვირას, 23 ივლისს მეტად ბევრი მნახველი იყო.

* *

რკინის გზების მკურნალთა საზოგადო კრებას შუამდგომლობა აღუძრავს გზათა მინისტრის წინაშე, რომ რკინის გზის ბუფეტებთან იაფ-ფასიანი სასაღვთისმეტყველო იქნას დაარსებული რკინის გზის წვრილ მოსამსახურეთათვის.

* *

ლაზარევის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტის პროფესორი ბ. ალ. ხახანაშვილი ამ ზაფხულს სამეცნიერო აზრით იტალიაში იყო წასული იქაურ არხივების გასაშინჯათ. ბ. ხახანაშვილს უკვე დაუმთავრებია ვატიკანის (რომში) არხივის დათვალიერება და დიდ ძალი მასალა შეგროვებია საქართველოს ისტორიისათვის. ბ. ხახანაშვილს იქვე ამოუჩინია ერთი ფრანგული წიგნი, რომელშიაც საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატი თურმე მოყვანილი. ამ ტრაქტატებში დღემდე ორი უცნობა მუხლიც ამოუჩინია.

* *

უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე პეტერბურგში მიიღებიან ის სემინარიელები, რომელთაც სემინარია პირველი რიგის მოწმობით გაუთავებიათ. მხოლოდ ამ ფაკულტეტადან სხვა ფაკულტეტზე ვერ გადავლენ.

გამოქვეყნებულ იქმნა შემდეგი მეტად საყურადღებო უმაღლესი ბრძანება: „ჩვენ მიერ დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს აზრის თანახმად, საკეთილოდ ვცანით 1) 1901 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულ იქმნას კავკასიაში საკომლო და აგრეთვე სხვა-და-სხვა გვიარ საადგილ-მამულო გარდასახადი და იმათ ნაცვლად დაწესებულ იქმნას სახელმწიფო ბეგარა და საადგილ-მამულო გარდასახადი; და 2) საერობო ხარჯი დაეკოს, სასოფლო საზოგადოების მიწებთან ერთად, იმ კერძო კაცთა მიწებსაც, რომელნიც ამ საზოგადოებათ არ ეკუთვნიან, და აგრეთვე უმაღლესი წოდების მამულებსაც.

ემ ზომებს აზრად ისა აქვს, რომ საადგილ-მამულო გარდასახადის გაღების ტვირთი თანაბრად იქმნას განაწილებული და ამით ამ საქმეში სამართლიანობა იქმნას შეტანილი.

ამასთან ჩვენ ყურადღება მივაქციეთ აგრეთვე იმასაც, რომ, ამ ახალ ზომების მიღებისთანავე, იმათ მამულებს, რომელნიც საკომლო გარდასახადს არ იხდიან, გაეწერა ხაზინისა და საერო გარდასახადთა სასარგებლოდ იმაზედ მეტი, რასაც აქამდის იხდიდნენ, ხაზინის იმ ხარჯის დასაფარავად, რომელსაც იგი მომრიგებელ სასამართლოთა და საგლეხო დაწესებულებათა შესანახად ეწვევა. *

ამის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ გაადვილებულ იქმნას ახალ გადისახადთა ვალეზა, შესაძლებელად ვცანით, იმათ ვინც საკომლო გარდასახადს არ იხდიან, ებატოთ ის ძველი დარჩენილი გარდასახადი მომრიგებელ სასამართლოთა და საგლეხო დაწესებულებათა ხარჯის დასაფარავად დაღეგნილი, და ამ გარდასახადის ჯარიმა, რომელიც დღემდე, სახაზინო პალატათა ანგარიშით, დარჩენილი იმათ მამულებზედ და აგრეთვე ისიც, რომელიც დაედებათ 1900 წლის პირველ იანვრამდე.

ამის გარდა, ყურადღება მივაქციეთ რა ტვილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა გაპირებულს მდგომარეობას, ყოვლად უმოწყალოდაც ვბრძანებთ ამ გუბერნიების შთამომავლობით თავად-აზნაურთა მიწები განთავსებულ იქმნას სამის წლით (1901—1903 წ.) იმ სახელმწიფო საადგილ-მამულო გარდასახადისაგან, რომელიც ამ მამულებზედ უნდა იქმნას გაწერილია.

ნამდვილი მისის იმპერატორების უმაღლესობის საკუთარის ხელით მოწერილია:

„ნიკოლაოჲი.“

ბანსებადმობნი

კალენდარი „ლურჯი ჯვრის“

ღარიბთა და ავადმყოფ ბავშთა ზედა მხრუნველი საზოგადოებისა,

რომელიც იმყოფება უაფგუსტოესი მფარველობის ქვეშე მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკივისა.

სტოლზედ სახმარი, შესატყუაობი

და აღრესების წიგნი

რუსეთის იმპერიისა

რუქებით, გეგმებით, ზორტრეტებით და ჩანატებით

კამოჯა 1 ნომერიადმ 1900 წლისა 20,000 ცალი.

ფასი ყლით 1 მ. 50 კ. (გაგზავნით 2 მანეთი.

შენიშვნა. „ლურჯი ჯვრის“ კალენდარში განცხადებანი მიიღებინ: რედაქციაში ლურჯი ჯვრის ღარიბთა და ავადმყოფ ბავშთა ზედა მხრუნველი საზოგადოებისა, რომელიც იმყოფება უაფგუსტოესი მფარველობის ქვეშე მისი იმპერატორებით უმაღლესობის დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკივისა, პეტერბურგში, სერგიევის ქუჩა, № 14, და უფლებას მქონე ზირთაგან, რომელთაც ამის შესახებ ექნებათ რწმუნება „ლურჯის ჯვრის“ კალენდრის გამოცემის უ. გამგის ზედმოწერილი და რედაქციას ბეჭედ დასმულია.



მიიღება ხელის-მოწერა 1900 წლისათვის ორ კვირულ ბაჟოცემათა ქართულს

კმარს საავთმყოფო ავგულბოროითობით

ს. ზ. თოფურის.

ქ. ქუთაისში.

საავთმყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავთმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავთმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავთმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავთმყოფებს მიიღებს მ. ს. ბ. თოფურია.

ქირურგიურ შარდით სიფილისით და თვალების ავთმყოფობისათვის. მ. მ. ფ. ზმრბაბი.

დედაცაცურ ავთმყოფთა და საბებიო ქალი. მ. მ. ფ. კოვანი.

ჩნევა დარტყების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავთმყოფოში სრული სრჯით და ქქიმობით 2—3 მანეთამდე. აწერაციის ფასი გარტყებაზეა. სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია.

შ ი ნ ა რ ს ი:

სალიტერატურო ბაზროფილება: ყოვლად სამღვდელლო ბესარიონი, ეპისკოპოსი იმერეთისა.—ყოვლად სამღვდელლო ბესარიონის გვამის ვასევენება მღვდელ-მთავრის სასახლიდამ საკათედრო ტაძარში.—ჩემი სასისარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი აზიასა და ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.—ჩვენი სოფლის ცხოვრების ეხლანდელი საჭირ-ვარამო კითხვების გამო.—სასწაულები ჩვენს დროშიც ხდება.—„მწყემსი“ კორესპონდენცია.—ქურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

—განცხადებანი.

„მწყემსი“ №6

ღ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.
— ,, ორივე გამოცემა ნ ა | — ,, ორივე გამოცემა 3 მ.

ზავთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვარიალაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუთუაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მავ-როვთან; საჩხერეში—ყარაღან მანუჩისთან; ხანდაცხეში—დეკანოზ დ. ხახუროვთან; ხანდაცხეში—ბლალოჩინ მანა არსტარქ კალანდარი-შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმო-ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვარიალაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ზარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარებებ შეუძლიათ ამ აღრისით: Вь Квирили, вь редакци газет и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემა „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ზ. ლამაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифლისь, 16 Августа 1900 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елисеи

Типог. редакци журн. «Пастырь» (П. Д. Гамбашидзе) вь Кутаись, вь д. А. Дейсидзе на Нъмецкой ул.